

ეს ამბავი ალბათ ფანტასტიკის ჟანრიდანაა, როცა წარმოუდგენელი სურვილები იკვრება და ერთ მთლიანობად იქცევა... 8 წლის წინანდელი ჩანაფიქრიდან დღევანდელ დღემდე უამრავი რამ შეიცვალა... დრომ დიდი ნაბიჯებით, განსაკუთრებული სისწრაფით დაიწყო სვლა. საბოლოო შედეგი იქნება ფილმი „სხვა მე“ — ქართულ-ამერიკული პროექტი, რომლის გადაღებები რეჟისორმა გიგა აგლაძემ ახლახან დაამთავრა და რომელზეც ქართველი პროფესიონალების სადამდგმელო ჯგუფმა საერთაშორისო რანგის ვარსკვლავებთან ერთად იმუშავა. ამ მხრივ უნიკალური ისტორია შეიქმნა ქართული კინემატოგრაფისთვის.

**სცენარი არ წაუკითხავს, მისი მოყოლა მთხოვა. ეს ყველაზე რთული იყო, როგორ უნდა მომეყოლა რაღაც აბსტრაქტული ფორმის შინაარსი, რომელიც უფრო კინემატოგრაფიული იყო, სადაც გამოსახულებაა მთავარი. მაინც დავიწყე მოყოლა და თან ყველა როლს მე ვთამაშობდი. დევიდი მისმენდა...**

# გიგა აგლაძის ქართულ-ამერიკული პროექტი

**— გიგა, ახლახან ფილმის გადაღება დაასრულეთ, — ქართულ-ამერიკული, ვიტყოდი, უნიკალური პროექტი, რომელშიც მსოფლიო რანგის ვარსკვლავები მონაწილეობენ. რაზე მოგვითხრობს ფილმი?**

— ისევ ფილმის სათაურიდან გამოვალ, — „სხვა მე“, რაც ნიშნავს, რომ სურათის შინაარსი ადამიანის საკუთარი თავის ძიების პროცესს უკავშირდება. სამყარო, რომელსაც ჩვენ აღვიქვამთ, რეალურად სულ სხვაგვარია, ჩვენ კი, ადამიანები, მცდარი შეხედულებებით ვცხოვრობთ. თუკი საკუთარ თავს დაუბრუნდები და ღრმად ჩაიხედავ, მხოლოდ მაშინ შეძლებ ნამდვილი სამყაროს დანახვას, რაც საკუთარი თავის პოვნის ტოლფასია. ეს გახლავთ ადამიანის მთავარი საზრისი. ძალიან უცნაურადაა მოწყობილი ადამიანი, იქსებისა და იგრეკების გადანაწილებით. რაღაც ეტაპზე თანაბრად ცხოვრობს მასში ორივე სქესი. მიუხედავად იმისა, რომ ფილმი იდენტობის თემასაც ეხება, მასში დასმული მთავარი საკითხი მაინც საკუთარი თავის ძიებას უკავშირდება. სინამდვილეში ყველაფერი გაცილებით მარტივადაა, ამის დანახვა რომ შეგვეძლოს და ჩვენვე რომ არ ვართულებდეთ. ბავშვობაში სულ მაინტერესებდა, წყალი როგორ იყო ცხელი. მერე მივედი დასკვნამდე, რომ იყო ძალიან ცივი. ან რატომ იყო წიწაკა ძალიან მწარე — მასში იყო ტკბილის იმხელა კონცენტრაცია, რომ მისი შებრუნებული ფორმა მიიღო. როცა გავიზარდე, გავიგე, რომ მართლა ასე ყოფილა. აქედან გამომდინარე, ცხოვრებაში გაცილებით მარტივი პასუხებია ყველაფერზე. ფილმი ყოველთვის ერთ გმირზეა ხოლმე. შეიძლება სამი პერსონაჟიც იყოს, მაგრამ მთავარი ისტორია მაინც ერთის ფონზე ვითარდება. ასეთია დრამატურგიის კანონი. ჩემი ფილმი თითქოს ერთ ადამიანზეა, მაგრამ მერე შემოდის მეორე. მესამე... მაგრამ არის იქ ბავშვის ერთი ეპიზოდი და ვფიქრობ, რომ ფილმის მთავარი დრამატურგიული ხაზი ამ ბავშვის გარშემო იკვრება. მთავარი პერსონაჟი იგია, რაღაცნაირად „ჰაილაითივით“ რომ გამოჩნდება.



გიგა აგლაძე

ფოტო: ჯუდა-ხატია ფსუტური

**– ფილმზე ფიქრი დრამატურგიით იწყება... რამდენადაც ვიცი, სცენარსაც საინტერესო „თავგადასავალი“ ჰქონდა...**

– სცენარის აღქმა საქართველოში გაუჭირდათ. მასზე 8 წლის წინ ვიმუშავე. ვისაც მაშინ წავაკითხე, თემას ვერავინ ჩასწვდა. შესაბამისად, ვერც დაფინანსება მოვიპოვე. ცხადია, შემდეგ შემოდის ეჭვები, რამდენად სწორ გზას ადგახარ, საკუთარი შესაძლებლობების გადაფასების პროცესი... თავად ეს თემა იწვევდა ეჭვებს, მითხრეს კიდეც, რა საჭიროა, რომ ეხებიო. მშრალად რომ მოგიყვეთ, ფილმი სინამდვილეში ეხება ადამიანს, რომელსაც არ გაუმართლა, სუსტი იყო. უმაღლესმა ძალებმა ის კიდევ უფრო დასაჯეს და თვალის სინათლე წაართვეს. სწორედ მაშინ იწყებს ის საკუთარ თავში „მოგზაურობას“ და აღმოაჩენს ნამდვილ, ყველაზე რეალურ სამყაროს. სიბრმავე მისი ძალა და საჩუქარი აღმოჩნდება. ასეთ ხედვას სინესთეზია ჰქვია და უიშვიათესი დაავადებაა. ვფიქრობ, რომ ასეთი ხედვა საჩუქარია. ხომ საშინელებაა, რომ ერთ დღეს თვალს გაახელ და სიშავის გარდა ვერაფერს დაინახავ, მაგრამ სწორედ ამის მიღმა იწყება გაცილებით მდიდარი სამყარო. მაშინ ხდება გმირი თვალხილული და არა მაშინ, როცა თვალისჩინი ჰქონდა და მაინც ვერაფერს ხედავდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ შინაარსს ვერავინ იგებდა, მჯეროდა, მართალი ვიყავი, ეს ამბავი კი საინტერესო იყო... მერე აღმოვჩნდი კალიფორნიაში.

**– დევიდ ლინჩი იყო ის ადამიანი, რომელიც პირველი დაინტერესდა ამ ისტორიით?**

– სცენარი არ წაუკითხავს, მისი მოყოლა მთხოვა. ეს ყველაზე რთული იყო, როგორ უნდა მომეყოლა რაღაც აბსტრაქტული ფორმის შინაარსი, რომელიც უფრო კინემატოგრაფიული იყო, სადაც გამოსახულებაა მთავარი. მაინც დავიწყე მოყოლა და თან ყველა როლს მე ვთამაშობდი. დევიდი მისმენდა, არ შევუჩერებივარ. ჩემს თამაშს ისე უყურებდა, როგორც ფილმს. როცა დავასრულე, მითხრა, ეს სწორედ ის ისტორიაა, რომელიც მგავს. იგულისხმა, რომ თავადაც ამ თემებს უტრიალებს. მერე მკითხა, – კამერა გაქვს? – კი-მეთქი, – ვუპასუხე. – რატომ არ იღებ? – დაინტერესდა... ასეთი მარტივი ხომ არაა კამერის აღება და ფილმის გადაღება-მეთქი... კი, ასეთი მარტივიაო. ცხადია, დაუფინანსებლად ფილმის გადაღება არ უგულისხმია, ჩემი ანთებული სახე რომ დაინახა, ჩემი სწრაფვა, რომ ფილმი გადამეღო, ჩემივე უმოძრაობა გაუკვირდა. მერე შემომთავაზა, რომ იქნებოდა ფილმის პროდიუსერი და ეს დამეხმარებოდა მუშაობის დაწყებაში.

**– და საიდან დაიწყეთ?..**

– შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო დღე, როცა მეორედ დავიბადე... არა, ეს მოხდა გაცილებით ადრე, 4 წლის წინ, როცა ჩემს ცხოვრებაში გაჩნდა ორი ადამიანი, რომლებმაც დევიდს დამაკავშირეს. ვფიქრობ, შემთხვევით არაფერი ხდება. რაღაც ძალა მიბიძგებდა, არ გავჩერებულიყავი. ეს ვიზიტები საზღვარგარეთ, ფილმის გადაღების იმედი... ადამიანების მხრიდან დაიმედება და შემდეგ იმედების გაცრუება... წინ ვერ მივიწევდი და შეგრძნება მქონდა, რომ ეს იყო ჩემი ილუზია. და ერთხელაც, ერთ ძალიან ჩვეულებრივ დღეს შევხვდი ორ ადამიანს... გაცნობის პირველივე დღეს მითხრეს, რომ დევიდის მეგობრები იყვნენ. ისინი დღეს ჩემი ოჯახის წევრები არიან. ვინაობის დაკონკრეტებისგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებ. მოვა დრო და ამ თემასაც უფრო ფართოდ გავშლი. მათგან გაიგო დევიდმა ჩემ შესახებ. სწორედ მაშინ გაჩნდა თემა, რომ მე ვყოფილიყავი დევიდ ლინჩის ფონდის ხელმძღვანელი კავკასიაში. დევიდმა საქართველოში ჩამოსვლის სურვილი გამოთქვა, მაგრამ მე ფეხს ვითრევდი. არც მაშინ და არც დევიდის

ჩამოსვლის პერიოდში საქართველო ამისთვის მზად არ აღმოჩნდა. შეიძლება დევიდს არაფერი ვაგრძნობინეთ, მაგრამ სათანადოდ ვერ დავაფასეთ. ის არის აბსოლუტურად უნიკალური შემოქმედი. რეჟისორები მილიონებს ხარჯავენ, რომ ისტორიები მოგვიყვნენ. ლინჩს შეუძლია კამერა აიღოს, ჩაიკეტოს ერთ ოთახში და ფილმი გადაიღოს. თან ამ მინიმალისტური ფორმით გაცილებით მეტს მოგიყვება. 21-ე საუკუნის სახელოვნებო წრეში მისი ბადალი არავინაა. პირადად მომისმენია აღიარებული რეჟისორების აზრი მასზე, — ფილმს რომ ვიღებთ, ვფიქრობთ, დევიდი როგორ შეაფასებს. სიმართლე გითხრა, მეც მაქვს ეს კომპლექსი, მასალებს ვუგზავნი, რომ საქმის კურსში იყოს.

**— ისევ სცენარის „მოგზაურობას“ რომ დავუბრუნდეთ, სადაც გავჩერდით...**
— დევიდის სიტყვებმა სცენარის შეფასებაში რწმენა განმიმტკიცა. მივხვდი, რომ ფასეული იყო. შემდეგ მომიჩინეს პროდიუსერების ჯგუფი, უფრო პრაქტიკოსი პროდიუსერები, რომლებიც მუშაობის დაწყებაში დამეხმარებოდნენ. როცა სცენარს გაეცნენ, აღნიშნეს, რომ მსგავსი შინაარსისა და ფორმის არაფერი წაუკითხავთ მანამდე. ვიცი, რომ ფილმი არავის და არაფერს ჰგავს, რაც აქამდე გინახავთ. ვერ ვიტყვი, რომ ლინჩის ესთეტიკითაა გადაღებული. პროდიუსერებმა სცენარი უმსხვილეს სადისტრიბუციო კომპანია „სინემა მენეჯმენტ გრუპში“ წარადგინეს. კომპანიის წარმომადგენლებიც გაეცნენ სცენარს და გამოთქვეს სურვილი, რომ საკუთარ თავზე აიღებდნენ ფილმის დისტრიბუციას.

**— ამერიკულ კინოსახელოვნებო წრეებში ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პროდუქციის კომერციულ მხარეს. ფილმი კომერციულად მიმზიდველი იქნება მათთვის?**
— კარგად მახსოვს დევიდის სახე, როცა ღიმილით მითხრა: ამერიკაში კინომწარმოებლების 90 პროცენტს დისტრიბუცია არ აქვს. შენ კი ახალგაზრდა, ყველასთვის უცნობი რეჟისორი ჩამოხვედი მათთვის აბსოლუტურად გაურკვეველი ქვეყნიდან და დისტრიბუტორების ინტერესი დაიმსახურეო. რა თქმა უნდა, დევიდის ფაქტორი ბევრს განსაზღვრავდა, მაგრამ არავის უკითხავს ჩემთვის, დევიდი რამდენად დაინტერესებული იყო ფილმის გადაღებით. ასეთ გავლენებს საკმაოდ პრაგმატულ წრეებში არ ითვალისწინებენ. ფილმი იმდენად განსხვავებული იქნება, რომ როგორც ჩანს, კომერციული წარმატება დაინახეს.

**— ქასთინგი, რომელიც ასევე მნიშვნელოვანია ფილმის წარმატებისთვის...**
— რამდენიმე წლის წინ გამოვიდა ფილმი Across the Universe, სადაც მთავარ როლს ჯიმ სტარჯესი თამაშობდა. როდესაც ფილმი ვნახე, ჩემთვის გავიფიქრე, რომ ის ითამაშებდა



ჩემს სცენარში მთავარ როლს. თავად ამ ფილმმა ჩემს ბავშვობას დამაკავშირა. წელს იანვრის თვეში დისტრიბუციამ გამომიგზავნა მსახიობების სია, თუ ვის შეიძლება ეთამაშა მთავარი როლი. მე ჯიმი შევთავაზე. დაიბნენ... ცოტა რთული იქნება მისი დათანხმებაო. არ დავიხიე, რადგან ჯიმს ვხედავდი ამ როლში. დევიდთანაც მქონდა საუბარი. მეორე დღეს სახლიდან რომ გამოვდიოდი, მობილურზე დამირეკეს. დისტრიბუციიდან მიკავშირდებოდნენ, ჯიმს სურს თქვენთან გასაუბრება და ლეპტოპით გვეწვიეთო. მივედი ოფისში, ავედი მერამდენიმერაღაც სართულზე ცათამბჯენში. გავხსენი ლეპტოპი, სკაიპში მომძებნეს და დაურეკეს ჯიმს. კონტაქტებს ასე იოლად არავის აძლევენ, მე ძალიან გამიმართლა. 5 წუთში დარეკა სტარჯესმა და პირველივე ფრაზა იყო: Hii, Gigaaa. თავი სიზმარში მეგონა... როგორც ჩანს, სცენარი წაკითხული ჰქონდა და მოეწონა, ასეთ პოეტურ ფილმში სიამოვნებით ვითამაშებო. ჯიმი მუსიკოსია და ახალი დასრულებული ჰქონდა კომპოზიცია, რომელსაც ერქვა The Other Me. არ ვიცი ასეთი დამთხვევა... ლინკი ჩამიგდო და სიმღერას რომ მოვუსმინე, თითქოს ფილმისთვის ჰქონდა შექმნილი. უკვე გაჟღერებული რომ არ იყოს, ფილმში გამოვიყენებდი. არასდროს დამავიწყდება იმ სცენის გადაღება, როცა ჯიმის გმირი ბრმავდება. მხეცია, ისე ითამაშა. როცა ჯერ კიდევ სცენარზე მუშაობას გავდიოდით, მას არც კი უკითხავს, დაბრმავებულ გმირს სად უნდა ეყურებინა. ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც წარმომედგინა.

**— როგორ დაუკავშირდით ანდრეა პეჟიკს?**
— როცა ჯიმმა ქალის მთავარი როლის შემსრულებელზე მკითხა, — ვისზე ფიქრობო, ვუპასუხე, რომ რეალური ტრანსგენდერი მინდოდა ამ როლზე. ეს იდეა ძალიან მოეწონა. რადგან ვერ მივაგენი ტრანსგენდერს, რომელიც ამ როლს შეასრულებდა, თითქოს დავნებდისავით სიტუაციას. მსახიობის შერჩევის პარალელურად აქტიური კონტაქტი მქონდა ჯიმთან. მან აიღო თავის თავზე ტრანსგენდერი მსახიობის პოვნა და დაუკავშირდა ლანა ვაჩოვსკის. ალბათ იცით ძმები ვაჩოვსკები და მათი ისტორია, როგორ შეიცვალეს სქესი. სცენარის გაცნობის შემდეგ ვაჩოვსკებმა რეკომენდაცია ანდრეას გაუწიეს. როგორც ჩანს, საკონტაქტო ანდრეას ჯიმმა მისცა და მანაც მომწერა. სკაიპით მოისურვა გასაუბრება. მითხრა, სცენარს რომ


ბილი ბარეტი


როჯერ ეშტონ-გრიფიტი

– ანტონია კემპბელი მოულოდნელად შემოიჭრა ფილმში. ანტონია მთავარი გმირის ცოლს თამაშობს. ამ მსახიობზე განსხვავებული წარმოდგენა მქონდა. სკაიპით რომ გავესაუბრე, მივხვდი, რომ აბსოლუტურად სხვა, განსაკუთრებული მასშტაბის ენერგიასთან მქონდა საქმე. ისეთთან, გადასაღებ


ორლა ბრედი


გიგა აგლაძე და ანტონია კემპბელი


მაიკლ სოკა

გავეცანი, ისე მომეწონა, აღელვებული აბაზანაში შევვარდი შხაპის მისაღებადო. ასე დამტკიცდა ანდრეა როლზე. გადაღებების დაწყებამდე თვე-ნახევარი დრო ჰქონდა. ჩავიდა ლონდონში და სამსახიობო ოსტატობის კურსი გაიარა. გადაღებებზე, პირველი სცენის პირველი დუბლი რომ ითამაშა, შენიშვნის მიცემა დავაპირე. ამ პერსონაჟს სხვანაირად ვხედავდი. მერე მივხვდი, რომ უხეშად არ უნდა ჩავრეულიყავი, რადგან ეს ისტორია მისი იყო, იმდენად ნაცნობი, რომ იცოდა, რას აკეთებდა. ის უცნაურობა, რომელიც მის შესრულებაში დავინახე, არ უნდა შემეცვალა. მე უფრო ფემინური წარმომედგინა.
მან სხვა ენერგია შეიტანა. რაღაც დამალა, რაღაც გამოაჩინა. ეს პერსონაჟი ანდრეამ თავისით შექმნა. ვფიქრობ, ბევრად უფრო საინტერესო პერსონაჟი მივიღეთ.

**– მოგვიყევით ქასთინგზე, სხვა მსახიობები როგორ შეარჩიეთ?**


ანტონია კემპბელი


ჟორდი მოლა


ანდრეა პეჟიკი



რონა მიტრა

მოედანზე ყველას რომ დაჩრდილავდა. რას ვიზამდი, უარს ხომ ვერ ვეტყოდი. ამასთან მენანებოდა, რომ ასეთი მსახიობი არ ამეყვანა. მიუხედავად დიდი არჩევანისა, მაინც მასზე შევჩერდი. მახსოვს, პირველი დუბლი რომ ითამაშა, მივხვდი, დავიღუპე. ჯიმმა და ანტონიამ ისე შეავსეს ერთმანეთი, სხვა გმირებისთვის ადგილი არ დარჩა. პირველი დუბლის მერე ხმას ვერ ვიღებდი. ჩუმად ღმერთს ვეხვეწებოდი, როლი ცოტა შეემსუბუქებინა, ანუ გაეფუჭებინა, რომ ის ენერგია არ ყოფილიყო. ვამეორებინებდი და ვამეორებინებდი დუბლს, რომ შესუსტებულიყო. ის კი უკმაყოფილო იყო რაღაცით, პაუზა მოითხოვა, მოშორდა გადასაღებ მოედანს, გადგა გვერდზე, ჩაივლო თმაში ხელი და უმოწყალოდ გამოიგლიჯა. ამ განწყობით დაბრუნდა მოედანზე და თამაში გააგრძელა. მაშინ მივხვდი, რომ სხვა გამოსავალი არ მქონდა, უნდა დავნებებულიყავი. წარმოგიდგენიათ მისი მასშტაბი? იცით, როგორ თამაშობდა? იმდენად ბუნებრივი იყო, ვერაფრით იფიქრებდით, რომ როლს ასრულებდა. რაღა უნდა მეთქვა, დავნებდი. უდიდესი არტისტია.

**– თქვენს ფილმში თამაშობს რონა მიტრა, რომელსაც უფრო კომერციული ხასიათის ფილმებში აქვს მიღებული გამოცდილება. როგორ მოერგო ფილმის საერთო ქარგას?**

– გეთანხმებით, ე.წ. არტჰაუსებში არ თამაშობდა. თუმცა სცენარი მოეწონა და დაგვთანხმდა. უფლება არ მაქვს, მის ინტიმურ მხარეებზე გესაუბროთ, მაგრამ სცენარში პირად ბიოგრაფიასთან გაავლო პარალელი. როგორც კი გადასაღებ მოედანზე გამოცხადდა რონა მიტრა და პერსონაჟის ხასიათზე დავიწყეთ საუბარი, გამაჩერა: შეიძლება შენ რეჟისორი ხარ და იცი, რაც გსურს, მაგრამ მე ვარ რონა მიტრა უცნაური ხასიათითო. მომეცი თავისუფლება და თუ არ დაგაკმაყოფილებს, მერე ჩაერიეო. ფილმის გადაღება რონა მიტრას და ანტონია კემპბელის ეპიზოდებით დავიწყე. შეკითხვები კი დამისვა როლთან დაკავშირდებით და გადაღებებზე ითამაშა ზუსტად ისე, როგორც წარმომედგინა. ბედნიერება იყო მასთან თანამშრომლობა. თან მეგობრული იყო, თან ძალიან სთარული მედიდურობით. საკუთარ ადგილს აუცილებლად მოგიჩენდა. ამ მხრივ ყველა სხვა მსახიობისგან განსხვავებული იყო. მახსოვს, რონა მიტრა როლზე რომ დაგვთანხმდა, რა მითხრა პროდიუსერმა, – welcome to hollywood. საკმაოდ რთული აღმოჩნდა რონასთან თანამშრომლობა. მიუხედავად იმისა, რომ ადვილად მოგყვებოდა როლზე, საკუთარი თავისგან მეტს ითხოვდა. თან რონა გამართული, შექსპირისეული ბრიტანულით საუბრობდა, რაც ისეთი გადამდები აღმოჩნდა, რომ დღეს უკვე მე მეკითხებიან ჩემს აქცენტზე.

**– და როჯერ ეშტონ-გრიფიტი... არაჩვეულებრივი ბრიტანელი მსახიობი...**

– როჯერი ფანტასტიკური ადამიანი აღმოჩნდა. მარტივი იყო მასთან ურთიერთობა. როგორც კი ჩამოვიდა, მაშინვე გადაღებებზე გამოცხადდა და რომ შევხვდი, უკვე კოსტიუმს ირგებდა. მისი ეპიზოდის გადაღება არ მქონდა დაგეგმილი, მაგრამ ადრე მოვიდა, რომ ყველაფერი გამართული ჰქონოდა. დამხვდა რაღაც კომბინეზონში. მითხრა, დიდ დროს არ წაგართმევ, მაგრამ ეს კომბინეზონი მომწონსო. შევთანხმდით, რომ ამ კომბინეზონით გადავიღებდი. ორ დღეში მისი გადაღების დროც დადგა. ბედნიერება იყო მასთან თანამშრომლობა, იმდენად ადვილად მოგყვებოდა. ზუსტად ხვდებოდა, რა მსურდა, ახსნაც კი არ მჭირდებოდა. შენს ხედვას ერგება, თუმცა თავისსას აუცილებლად ამატებს. საოცარი ხასიათი შექმნა. ძალიან მოკლე პერიოდში გადავიღეთ.

**– ფილმში ბავშვის როლია. როგორ შეარჩიეთ მსახიობი?**

– ყველაზე დიდი პრობლემა ბავშვის შერჩევა იყო. პროდიუსერებმა დიდი სამუშაო გასწიეს, გამომიგზავნეს ბავშვების ფოტოები, რომელთა შორის ეს ბიჭი ავირჩიე – ბილი ბარეტი, რომელიც 25-ე ნომრად იყო. როგორც აღმოჩნდა, ჰოლივუდის დაახლოებით 11 ფილმში აქვს ნათამაშები. ბილი დედასთან ერთად ჩამოვიდა. დავიწყეთ გადაღება. ერთ-ერთ სცენაში უნდა ეთამაშა. გავესაუბრე, ავუხსენი, რა მსურდა და იმდენი განსხვავებული განწყობა მოვთხოვე, ჩემს თავს ვეუბნებოდი კიდეც, ეს ბავშვმა როგორ უნდა შეგისრულოს-მეთქი. ჩავრთეთ კამერა... და ბილიმ სწორედ ის ხასიათი ითამაშა, რაც მოვთხოვე. თან პირველივე დუბლზე. გადაღების მერე გულში ჩავიხუტე ბავშვი და დედამისს ვუთხარი, ბილი დიდი არტისტი გახდება-მეთქი. ბილისაც სულ ვეუბნებოდი, რომ არანორმალური იყო. მას მართლაც დიდი მომავალი აქვს.

**– ჯორდი მოლა...**

– მოლა ბილის მამას თამაშობს ფილმში – ქართველი მამის როლს. სცენარს რომ გაეცნო, დამირეკა, – ვიცი, როგორი მამაცაა, მაგრამ სულ უარყოფით პერსონაჟებს ვთამაშობ და ცოტა უნდა შევცვალოო. გადაღებებზე მაინც შემოჰქონდა თავისი ხედვა, ეს თამაშშიც იგრძნობა. მისი პერსონაჟი მკაცრად კი ექცევა ვაჟს, მაგრამ ისე, რომ იქვე ნანობს. თან ამას საოცრად ასრულებს.

**– თქვენთვის ყველაზე დასამახსოვრებელი და უნიკალური რომელი მსახიობი აღმოჩნდა?**

– ეს იყო ჩემთვის ნამდვილი შოკი... მისი დონის მსახიობი ალბათ მთელ დედამიწაზე არ მოიპოვება და ეს გახლავთ წარმოშობით ირლანდიელი ორლა ბრედი. ფილმში დედის როლს თამაშობს. მასთან ურთიერთობა იყო დიდი ბედნიერება. ამ ქალბატონთან გატარებული ყოველი წამი დასამახსოვრებელია. შედარებით ძველი თაობის მსახიობია. ეს გახლავთ ქალბატონი, რომელიც მოესწრო ვუდსტოკს, იმ სულისკვეთებას, რომელსაც მეც ვატარებ. ეს გახლდათ ადამიანი დისციპლინა, ამავდროულად ცოტა თავქარიანიც, მაგრამ ისეთი, თვალდახუჭული რომ ენდობი. როგორი მსახიობი და რამდენად მრავალფეროვანი ადამიანია, ამის ახსნა უბრალოდ არ შეიძლება. მხოლოდ უნდა მიიღო და დატკბე. უბედნიერესი ვარ, რომ ამ რანგის მსახიობებთან, თანაც უნიკალურ ადამიანებთან მქონდა ურთიერთობა. კიდევ ერთი მსახიობი შემოგვიერთდა გვიან – მაიკლ სოკა, ესეც საოცრად თავქარიანი. მაიკლი მთავარი გმირის მეგობარს თამაშობს. მისი პერსონა ჯიმმა გვირჩია, ისიც ბოლო წუთებში. თავად დაუკავშირდა და გაგვიმართლა, რომ თავისუფალი იყო. საერთოდ ჯიმი ძალიან ჩართული იყო სამუშაო პროცესში და მადლიერი ვარ მისი. ვთვლი, რომ ეს ფილმი ჯიმისაც ეკუთვნის. გარდა იმისა, რომ მთავარი როლი შეასრულა, ბევრი რამ გააკეთა სურათისთვის. მაიკლ სოკას თავად რომ დაუკავშირდა, გამოშტერდა სოკა – სტარჯესი მირეკავსო, და რომ გაიგო, საქართველოში იყო გადაღებები, ეგ სად არისო, გაიკვირვა. სოკა აღმოჩნდა მსახიობი, რომელიც ნებისმიერ ჟანრს მოერგება. ძალიან დიდი მსახიობია. თავისი სიმსუბუქე შეიტანა როლში, რაც ფილმს დადებითად წაადგა. საოცარი იუმორი აქვს. ჩამოვიდა თუ არა, ქართული ენის სწავლა დაიწყო. გადაღებებზე ქართულად ამეტყველდა. გამართულად ამბობდა ყველაზე რთულად გამოსათქმელ ბგერებსაც – წ, ყ, ჯ, ჭ. უცებ ითვისებდა ყველაფერს. იდეალური სმენის გარდა უნიკალური პირის აპარატი აქვს.

**– გიგა, ვიცი, რომ გადაღებები საქართველოში მიმდინარეობდა. ლოკაციები როგორ შეარჩიეთ?**
– ფილმის ძირითადი ნაწილი გარეჯში გადავიღეთ და ღმერთმა დაგვიფარა უბედურებისგან. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჯგუფს, რომელიც გველების განეიტრალებას იღებდა თავის თავზე. ჯიმ სტარჯესი სასწაულად გადარჩა, რომ გველმა არ უკბინა, წამებში მოასწრეს დაჭერა. გარეჯზე ვერაფრით ვიტყოდი უარს. სიზმრის სცენაში მჭირდებოდა ჰორიზონტები. ასეთი ადგილის პოვნა ძალიან გამიჭირდა. ჯგუფიც იყო, რომელიც ლოკაციების მოძებნაზე მუშაობდა, მაგრამ ისეთი ადგილი, უბრალოდ არსადაა, სადაც არაფერია ჰორიზონტის გარდა. გადაღებების ნაწილი კახეთსა და თბილისში გვქონდა.

**– რომელი სცენის გადაღება აღმოჩნდა რთული?**
– ყველაზე მეტად მეგონა, რომ ბარის სცენის გადაღება გამიჭირდებოდა. ბარში პერსონაჟების შეხვედრა თავისთავად ძალიან ყოფითი და ბანალური მგონია. თუმცა საბოლოოდ ადვილად გავართვი თავი. ზოგადად ვერიდებოდი ბარის თუ რესტორნის სცენებს. ასეთი ლოკაციები არ მიყვარს.

**– დაბოლოს, მსურს ვისაუბროთ შემოქმედებით ჯგუფზე, რომელიც ადგილობრივი პროფესიონალებით დაკომპლექტდა.**
– ფილმის დამდგმელი ოპერატორია მინდია ესაძე. საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო ოპერატორია. მიუხედავად იმისა, რომ მინდიას ბევრი კარგი ნამუშევარი აქვს, ეს ფილმი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იქნება. ასე ვფიქრობ. მეორე ოპერატორი იყო გუკა გოლიაძე. ვფიქრობ, რომ გუკა უკვე ერთ-ერთი საუკეთესო ოპერატორია და არა მხოლოდ საქართველოში, ისევე როგორც მინდია ესაძე. მინდოდა, რომ გამოსახულება ექსპერიმენტული ხასიათის ყოფილიყო ფილმში, რაც ოპერატორებს გამოუვიდათ. გამოვიყენეთ განსხვავებული განათება. ალბათ, ასეთი მასშტაბის პირველი პროექტია საქართველოში, სადაც ამერიკელი პროდიუსერები და ქართული სტაფი ერთად მუშაობდნენ. არაჩვეულებრივად იმუშავეს ფილმის მხატვრებმა. ასევე მეიქაფ არტისტმა, თაკო შენკენმა და თმის სტილზე გიორგი ელიაძემ. მსახიობები აღნიშნავდნენ კიდეც. კოსტიუმებზე სიმონიკო მაჩაბელმა იმუშავა, მინიმალისტურად, რომ იტყვიან, დანის პირზე გაიარა. ძალიან მაგარი ჯგუფი შეიკრა. საქართველოში საუკეთესო პროფესიონალებია. აქვე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო დიდ მეცენატს, ივანე ბაქრაძეს, რომელმაც ფილმი დააფინანსა. საქართველოში ამ ფილმის დაფინანსება წარმოუდგენელი იყო.

**– გიგა, ახლა რა ეტაპზე ხართ და როდის ვიხილავთ ფილმს ეკრანებზე?**
– ახლა მივფრინავ ლოს-ანჯელესში, მიმაქვს მასალა და მონტაჟს ამერიკელი პროფესიონალები შეუდგებიან. ალბათ, ერთად უნდა დაველოდოთ საბოლოო შედეგს.





ᲒᲘᲒᲐ ᲐᲒᲚᲐᲫᲔ, ᲠᲝᲯᲔᲠ ᲔᲨᲢᲝᲜ-ᲒᲠᲘᲤᲘᲢᲘ ᲓᲐ ᲯᲘᲛ ᲡᲢᲐᲠᲯᲔᲡᲘ



He hasn't read the script, he asked to tell it and that was the most difficult for me. How should I tell an abstract plot of the story, which was cinematic, where an image is the most important? However I started telling and playing all the roles along with that, David was listening…

This story is from fantastic genre where all your unrealistic wishes come together and become the wholeness… Many things change till today from that 8 years old idea. Time started walking with big steps and with a special speed. The final result will by the film "The Other Me". It's a Georgia-American co-production. Giga Agladze has just finished shootings. Georgian creative crew was working with international stars. With this side a unique story was created in Georgian cinema.

# GIGA AGLADZE'S GEORGIAN-AMERICAN PROJECT

- GIGA, YOU'VE JUST FINISHED SHOOTINGS, GEORGIAN-AMERICAN, I WOULD SAY A UNIQUE PROJECT WHOSE PARTICIPANTS WERE HIGH CLASS INTERNATIONAL STARS. WHAT IS THE FILM ABOUT?

I would relate it to the name of the film "The Other Me", it means that film is about process of searching your own self. The world which we percept is completely different in reality and we humans live with misconceptions. If you go to yourself and look deep inside only then you will see the real world and that is equivalent to finding yourself. This is the main notion of human being. Human is a challenging being, divided in X-s and Y-s. At some level both genders live together within. Despite that the film is also about gender identity, still the main theme connects to searching yourself. In reality, everything is much simpler, if we could see it and not make it complicated. In childhood I was always interested in what hot water was and then I came to an idea that it was very cold. Or why pepper was so bitter – it has a huge concentration of sweet and because of that it gets counter-reaction. When I grew up I understood that it was so. Therefore, in life answers are much easier. Films usually are about one character. It may have three characters but the plot always evolves around one character. That's the rule of dramaturgy. My film seems about one character but then others come in. There is an episode with a child and I think the main dramaturgic line is bound around him. He is a main character, a highlight.

- THOUGHTS ABOUT FILM START WITH DRAMATURGY… AS I KNOW THE SCRIPT ITSELF HAD AN INTERESTING "ADVENTURE"

The script was difficult for understanding, in Georgia. I worked on it 8 years ago. Those who read the script couldn't fathom it. Accordingly I couldn't get any financial support. It's obvious, after that you have doubts, how right is the road, process of revaluing your abilities… The theme of the film, itself caused doubts and they said what's the point of it. Shortly, the film is about a man who wasn't lucky, who was weak. Higher power punished him more and took away his sight. Here, he starts traveling inside his self and discovers the most realistic world. The blindness appeared as a power and a great gift. It's called Synesthesia and it's a very rare disease. I think this kind of vision is a gift. Isn't it horrible, when one day you open your eyes and all you can see is darkness but beyond that un-bounded world starts showing up. And that's when the character becomes sighted and not when he had sight but couldn't see. Despite, no one could understand this story, I believed that I was right and this story was interesting. Later, I appeared in California…

- WAS DAVID LYNCH THE FIRST WHO GOT INTERESTED IN THIS STORY?

He hasn't read the script, he asked to tell it and that was the most difficult for me. How should I tell an abstract plot of the story, which was cinematic, where an image is the most important? However I started telling and playing all the roles along with that, David was listening and he never interrupted me. He was watching my performance as a film. When I finished, he said that's the story that looks like me. He meant that he works with this kind of themes. Then he asked – Do you have a camera? – Yes, – I said – then why don't you shoot? – He was interested… it's not easy to take camera and just shoot… - yes, it's easy – he said. It's obvious that he hadn't meant to start shootings without financing. As he saw my lighted face, my aspiration to shoot the film, he was surprised by my own immobility. Then he offered me to be a producer of the film and that would help me to start.

- AND WHERE HAVE YOU STARTED?

I can say that that was a day when I was reborn… no, it happened much earlier. 4 years ago, two persons appeared in my life, they connected me with David. I think nothing happens accidently. Some power pushed me not to stop. These visits abroad, hopes to shoot the film… promises from people's side and then disappointments… I couldn't go ahead and I felt that everything was my illusion. And once, it was an ordinary day, I met two persons who said that they were David's friends. Today they are my family members. I won't reveal their names at this stage. Time will come and I'll talk about it more. David learned about me from them. That's when the idea of being the president of David Lynch Foundation Caucasus was born. David expressed the will to come to Georgia but I wasn't sure. Neither then nor now was Georgia ready for David's visit. Probably, David hasn't felt that however we haven't appreciated him properly. He is absolutely unique creator. Directors spend millions to tell us story. Lynch can take a camera, lock in the room and make a film. And he will tell more than others with his minimalism. No one is like him amongst artists of this century. I heard myself personally how famous directors say – when we shoot films we think what David would say. – To tell the true, I also have this kind of complex, I'm sending my materials to him to keep him aware of the case.

- LET'S GET BACK TO THE SCRIPT'S "ADVENTURE"

David's estimate made my faith firm. I understood that it has a value. After that I met group of producers who would help me to start working. When they read the script they mentioned that before they haven't ever read something like this. I know that the film doesn't look like anything that I've watched already. I won't say that it was shot with Lynchian esthetics. Producers presented the script to the largest distributing company "Cinema Management Group". Company representatives got acquainted to the script and offered us distributing service.

- AMERICAN FILM INDUSTRY PAYS MUCH ATTENTION TO THE COMMERCIAL PART OF THE FILM. DO YOU THINK THE FILM WILL BE COMMERCIAL?

I clearly remember David's smiling face when he said "in America, 90 % of film producers don't have a distribution. And you, young, unknown director from unknown country came and made distributors interested. Of course, David's factor defined much but none of them asked me if David was interested in shootings. This kind of influence is never taken in account in such pragmatic circles. The film will be very successful and it looks like they saw something commercial in it.

- CASTING WHICH IS ALSO VERY IMPORTANT FOR FILM…

Some years ago, the film “Across the Universe” was out where Jim Sturgess had the main part. When I watched the movie, I thought to myself that he will play in my film. The film itself connected me to my childhood. This year, in January the distribution company sent the list of the actors. I offered Jim Sturgess. They got confused. They said it will be difficult to persuade him. I haven’t stepped back because I was sure about Jim. I also talked with David. Next day, while I was leaving my house, I got a phone call from the company and they said that Jim wants to talk with me and that I should come with my laptop. I went to the office in skyscraper. I opened my laptop, signed in and we called Jim. No one would give contacts so easily, I was lucky. In 5 minutes Jim called and his first wards were “hi Gigaaa”. I thought I was in a dream. It seemed like he’s already read the script and said that he would play with a great pleasure in such a poetic film. Jim is musician and he just finished working on the composition which was called “The Other Me”. Such a coincidence! He sent the link and when I listened to the song, I had a feeling that it was created for my film. I would use it in my film if it isn’t aired. I will never forget the scene where Jim’s character loses his sight. His performance was unforgettable. When we were working on the script, Jim never asked where the blind character should look. He did everything like I imagined.

- HOW DID YOU CONNECT WITH ANDREJA PEJIC?

When Jim asked me about the main actress, I said that I wanted a real transgender for this role. He liked this idea. Because I couldn’t find a transgender who would play this role I kind of gave up. During the casting I had an active communication with Jim. He undertook finding a transgender and he contacted Lana Wachowsky. Probably you know Wachowsky’s brothers story, how they changed a gender. After getting aquatinted to the script, Wachowsky recommended Andreja. Seems like Jim gave my contacts to her and she wrote to me. She wanted to talk on Skype. Andreja said when she read the script, she liked it so much that she rushed to take a shower because of excitement. That is how we proved Andre for the role. She had a month and a half before shootings, so she went to London and took masterclasses in acting. When we were shooting the first scene with her, I wanted to remark something. I saw this character differently. Then I understood that I shouldn’t do it rudely, because this story was hers. It was very familiar for her and she knew how to do it. That strangeness which I saw in her performance shouldn’t be changed. I imagined her more feminine. She brought different energy. She hided something and some other things she revealed. Andrea created this character by herself. I think we got more interesting character.

- TELL US ABOUT CASTING, HOW DID YOU CHOOSE OTHERS?

Antonia Campbell appeared unexpectedly. She plays the main character’s wife. I had a different opinion about her. When we talked on skype, I understood that she has absolutely unique energy and she will overshadow everyone on the set. I felt sorry not to prove her for the role. Despite a wide choice, I chose her. I remember when she played during the first take, I thought I’m dead. Antonia and Jim filled each other so much that there wasn’t left a place for other actors. After first take I couldn’t say anything. I prayed to God, to make her play lighter, to make her to spoil the role in order to avoid this kind of huge energy. I made Antonia to repeat the text again and again. She was discontented with something and asked for a break and departed from the set. Shen grabbed her hair and mercilessly pulled them out. With this mood she returned to the set and continued playing. And I understood that there is no other way, I had to give up. Can you imagine her scale? She was so natural that you wouldn’t guess that she was playing. What should I say? I gave up. She is a great artist.

- RHONA MITRA WAS PLAYING IN YOUR FILM, BEFORE SHE USUALLY APPEARED IN COMMERCIAL FILMS. HOW DID SHE FIT TO THE FILM?

I agree with you, she never played in so called Art-House films. Though she liked the script and she agreed. I have no right to talk about her intimate sides but she made a parallel between her biography and script. As she appeared on the set and we started talking about character she interrupted me and said: maybe you are a director but I'm Rhona Mitra with a strange character. Give me freedom and if you don't like then you can interfere. We started shootings with Rhona Mitra and Antonia Campbell's episodes. Shen asked questions about the role and she played as I imagined. I was happy to work with her. She was friendly but with star like pride. She would assign your place. From this side she was different from others. I remember when she agreed for the role my producer said "Welcome to Hollywood". It was quite difficult to work with Rhona. Despite she easily followed the role, she was demanding towards herself. Also, Rhona was talking with Shakespearian British accent and it turned out so contagious that today everyone is asking me about my accent.

- AND ROGER ASHTON-GRIFFITH, A WONDERFUL BRITISH ACTOR…

Roger is a wonderful man. It was easy to communicate with him. As soon as he arrived he came to the set and when we met he was already fitting his costume. I haven't planned to shoot his episode but he came early to put everything in order. He was wearing a one-piece suit. He said he won't take much time but I like this one-piece suit. We agreed that I will shoot him in this one-piece suit. In two days, his shooting day came. It was happiness to work with him, he was following perfectly. He knew exactly what I wanted, there was no need to explain. He fits to your vision but at the same time he adds something from himself. He created a wonderful character in a very short time.

- THERE IS A ROLE FOR A CHILD IN THE FILM, HOW DID YOU CHOOSE HIM?

The biggest problem was choosing a child. Producers did a great work. They sent children's photos and I chose Billy Barratt who was 25th. It turned out that he had already played in 11 Hollywood films. Billy arrived with his mother. We started shooting. We talked, I explained what I wanted and I demanded such a different character that I was thinking by myself how kid could do it. We turned on the camera… and Billy did exactly what I wanted in the first take. After shootings I embraced the kid and said to his mother that he will be a great artist. I kept saying to Billy that he was crazy. He really has a big future.

- JORDI MOLLA…

In the film, Molla plays Billy's father – a Georgian father. When he got acquainted to the script he called me. I know what kind of father he is, I always play negative characters and I need to change it a bit… During the shootings he was bringing his vision and it was felt in his performance. His character is strict to the child but along with that he regrets it. He performs brilliantly.

- WHO WAS THE MOST UNIQUE AND UNFORGETTABLE ACTOR/ACTRESS FOR YOU?

For me it was shocking… I think in the world you can't find as high class actress as Orla Brady. She is Irish. She plays mother in the film. Relationship with her was such happiness. Every second spent with her is unforgettable. She is comparatively older generation.

She is a woman how remembers Woodstock and we both carry that spirit. She is a woman discipline and at the same time a bit insane but you would trust her with your eyes closed. It's impossible to tell how diverse she is a person and as an actress. You can only accept it and enjoy. I'm very happy that I worked with such high level actors and actresses and with such unique people. Lately one more actor joined us – Michael Socha, a crazy man. He was played the main character's friend. Jim suggested him and in the last minutes he contacted with him and we were lucky that he was free. Jim was very active in working process and I'm grateful for that. I think this film belongs to Jim as well. Besides he is playing the main role, he did a lot for the film. Jim called Michael and he was so surprised that Jim, himself called him. When he heard that shootings were in Georgia he asked where Georgia is… Michael is an actor how can play in any of genres. He is a great actor. He brought his lightness to the character which was very good for the film. He has a great humor. As soon as he arrived he started learning Georgian. During shootings he started speaking Georgian. He could pronounce perfectly the most difficult letters. He grabbed everything on the way. Besides he has a perfect sense of hearing, he also has a perfect mouth instrument.

- GIGA I KNOW THAT SHOOTINGS WERE IN GEORGIA, HOW DID YOU CHOOSE LOCATIONS?

The main part of the film we shot in Gareji and God saved us from the trouble. I want to thanks the crew who was neutralizing snakes. Jim Sturgess miraculously survived that the snake didn't bite him, it was caught within seconds. I couldn't refuse Gareji. I needed horizons in dream episode. It was difficult to find the place. We also had a group which was looking for locations, but there was no place where only horizons would be. Some parts of the shootings were in Kakheti and Tbilisi.

- WHICH SCENE WAS THE MOST DIFFICULT TO SHOOT?

I thought that the most difficult would be bar scene. The characters' meeting in the bars is very banal and ordinary by itself even though it was easy to do in the end. Generally I avoid scenes in bars or restaurants. I don't like such locations.

- AND FINALLY I WANT TO TALK ABOUT YOUR CREW, THEY WERE LOCAL PROFESSIONALS.

Director of photography of the film is Mindia Esadze. He is one of the bests in Georgia. Besides Mindia has many good works this film will be especially important. I think so. The second camera man was Guka Goliadze. I think Guka now is the one of the best camera men in Georgia and not only in Georgia like Mindia Esadze. I wanted image to be experimental in the film and they managed it. We used different lightening. I think this is the first time that such a large scale project happened in Georgia where American producers and Georgian staff worked together. Art directors made a great work. Also make-up artist Tako Shenkeni and hair stylist George Eliadze were wonderful. The actors noted that. Simoniko Machabeli was a costume designer, he made it very minimalistic. We had a great team. There are the best professionals in Georgia. Here, I want to thanks a great Maecenas, Ivane Bakradze who financed the film. Financing this film in Georgia was unthinkable.

- GIGA AT WHAT STAGE ARE YOU NOW? AND WHEN WILL WE SEE THE FILM?

Now I'm headed to Los Angeles. And I'm taking my materials to American professionals and they will start working on it. Probably, we should wait together for the final result.